საქმეN(2/132-22) 090210022005915476

8703104711532

www.ecd.court.ge

გ ა ნ ჩ ი ნ ე ბ ა
საქართველოს სახელით
მორიგების გამო საქმის წარმოების შეწყვეტის შესახებ

17 მაისი, 2023 წელი ამბროლაური

ამბროლაურის რაიონული სასამართლო
მოსამართლე როინ კახიძე
სხდომის მდივანი -იამზე მურუსიძე

მოსარჩელე -გიორგი გასვიანი

მოპასუხე -ცაგერის მუნიციპალიტეტის მერია
წარმომადგენელი-ლეილა გურგუჩიანი
დავის საგანი- შესრულებული სამუშაოს ანაზღაურება

სასამართლომ მოსამზადებელ სხდომაზე განიხილა შუამდგომლობა მხარეთა შორის მორიგების აქტის დამტკიცების და საქმის წარმოების შეწყვეტის თაობაზე და

გ ა მ ო ა რ კ ვ ი ა:

ცაგერის რაიონულ სასამართლოს 2021 წლის 15 ოქტომბერს სარჩელით მიმართა გიორგი გასვიანმა მოპასუხე ცაგერის მუნიციპალიტეტის მერიის მიმართ, შესრულებული სამუშაოს ანაზღაურების თაობაზე. რაც ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს 2022 წლის 22 ივნისის განჩინების საფუძველზე განსახილველად გადმოეგზავნა ამბროლაურის რაიონულ სასამართლოს.

2023 წლის 17 მაისს მოსამზადებელ სხდომაზე მოპასუხე ცაგერის მუნიციპალიტეტის წარმომადგენელმა წარმოადგინა განცხადება და აცნობა სასამართლოს მხარეთა შორის მიღწეული მორიგების თაობაზე და იშუამდგომლა მორიგების აქტის პირობების დამტკიცებისა და საქმის წარმოების შეწყვეტის თაობაზე.

სასამართლო გაეცნო მორიგების აქტს და მიიჩნია, რომ წარმოდგენილი მორიგების აქტი

უნდა დამტკიცდეს და მოცემული საქმის წარმოება უნდა შეწყდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-3 მუხლი განამტკიცებს დისპოზიციურობის პრინციპს, რომლის საფუძველზეც, მხარეებს შეუძლიათ საქმის წარმოება მორიგებით დაამთავრონ, მოსარჩელეს შეუძლია უარი თქვას სარჩელზე, ხოლო მოპასუხეს – ცნოს სარჩელი. მითითებული ნორმა ითვალისწინებს მოდავე მხარეთა მიერ გარკვეული შეთანხმების მიღწევის შემთხვევაში საქმის მორიგებით დასრულების შესაძლებლობას. მორიგებით სამოქალაქო საქმის წარმოების დამთავრება წარმოადგენს მხარეთა უფლებას და, შესაბამისად, დისპოზიციურობის პრინციპის გამოვლინებას. მორიგებაზე თანხმობით მხარეების განკარგავენ კანონით მინიჭებულ უფლებას - დაასრულონ საქმე მორიგებით.

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 218-ე მუხლის პირველი ნაწილის საფუძველზე, სასამართლომ ყოველნაირად უნდა შეუწყოს ხელი და მიიღოს კანონით გათვალისწინებული ყველა ზომა, რათა მხარეებმა საქმე მორიგებით დაამთავრონ.

მორიგებით სამოქალაქო საქმის წარმოების დამთავრება მხარეთა თავისუფალი ნების გამოვლენაა, რომელიც გარკვეული სამართლებრივი შედეგის დადგომას ისახავს მიზნად. მხარეთა მორგების არსი სწორედ იმაში მდგომარეობს, რომ გარკვეული დათმობის სანაცვლოდ მხარეთა შორის სასამართლო დავა დასრულდეს. საკუთარი მოთხოვნებისა და უფლებების დათმობის მოცულობას ყოველი მხარე დამოუკიდებლად წყვეტს. მორიგების პირობების ჩამოყალიბება მხარეთა კომპეტენციას განეკუთვნება და მათვე ეკისრებათ ის რისკი, რაც ამა თუ იმ პირობის საკმარისად გარკვევით და სრულად დაფიქსირებას უკავშირდება. სასამართლოს როლი მორიგების პირობებთან მიმართებით შემოიფარგლება მხოლოდ კანონთან მათი შესაბამისობის საკითხის გარკვევაში.

მოცემულ შემთხვევაში მოდავე მხარებმა, ერთის მხრივ მოსარჩელე გიორგი გასვიანმა და მეორეს მხრივ მოპასუხე ცაგერის მუნიციპალიტეტმა, მათი თავისუფალი ნების უპირატესი გათვალისწინებით, ურთიერთდათმობისა და მოლაპარაკების გზით, გამოავლინეს ნება საქმის წარმოების მორიგებით დასრულების თაობაზე და კანონით მინიჭებული საპროცესო უფლების რეალიზება განხორციელდა მათ მიერ მორიგების აქტზე ხელმოწერის გზით. სასამართლო მიიჩნევს, რომ მათი ნების გამოვლენის ნამდვილობაში ეჭვის შეტანის საფუძველი არ არსებობს. მხარეთა მიერ წარმოდგენილი მორიგების აქტი არ შეიცავს კანონსაწინააღმდეგო დებულებებს, არ ლახავს მესამე პირთა უფლებებს, არ ეწინააღმდეგება საჯარო წესრიგს ან ზნეობის ნორმებს, რის გამოც მოსარჩელე გიორგი გასვიანსა და მოპასუხეს შორის მორიგება უნდა დამტკიცდეს მოცემული პირობებით.

ამასთან, სასამართლო განუმარტავს მხარეებს, რომ მოდავე მხარეთა მიერ საქმის

წარმოების მორიგებით დასრულებისას, მოცემულ დავაზე საქმის წარმოება უნდა შეწყდეს, თანახმად სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 272-ე მუხლის ,,დ" ქვეპუნქტისა. ხოლო ამავე კოდექსის 273-ე მუხლის მეორე ნაწილის მიხედვით, საქმის წარმოების შეწყვეტის შემთხვევაში სასამართლოსთვის ხელმეორედ მიმართვა დავაზე იმავე მხარეებს შორის, იმავე საგანზე და იმავე საფუძვლით არ შეიძლება.

განსახილველ შემთხვევაში მხარეებს სურთ, რომ მათ მიერ წარმოდგენილი მორიგების აქტი სასამართლომ დაამტკიცოს ზეპირი მოსმენის გარეშე.

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 49-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, თუ სასამართლოს მთავარ სხდომამდე მოსარჩელე უარს იტყვის სარჩელზე, მოპასუხე ცნობს სარჩელს ან მხარეები მორიგდებიან, მხარეები მთლიანად თავისუფლდებიან სახელმწიფო ბაჟის გადახდისაგან.

საქმის მასალებით დგინდება, რომ გიორგი გასვიანი სახელმწიფო ბაჟის გადახდისაგან განთავისუფლებულია.

სასამართლომ, იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-3, 208-ე, 272-ე მუხლის ,,დ'' ქვეპუნქტით, 273-ე, 274-ე, 284-ე, 285-ე, 414-ე, 416-ე მუხლებით და

დ ა ა დ გ ი ნ ა:

1. დამტკიცდეს მორიგება სამოქალაქო საქმეზე №2/132-22 მოსარჩელე გიორგი გასვიანის სარჩელის გამო მოპასუხე ცაგერის მუნიციპალიტეტის მერიის მიმართ, შესრულებული სამუშაოს ანაზღაურების თაობაზე, შემდეგი პირობებით:

,,1.1. ერთის მხრივ ცაგერის მუნიციპალიტეტის მერიის წარმომადგენელი ლეილა გურგუჩიანი (პ/ნ 49001001417, მინდობილობა გაცემული 2023 წლის 21 მარტს ცაგერის მუნიციპალიტეტის მერის მოვალეობის შემსრულებლის ალუდა თუთიასანის მიერ N21) ცაგერის მუნიციპალიტეტის მერიის სახელით და მეორეს მხრივ ცაგერის ა(ა) იპ დეხვირის არქეოლოგიურ ეთნოგრაფიული მუზეუმის ,,ღია ცის ქვეშ" დირექტორი გიორგი გასვიანი (პ/ნ 49001002720) ურთიერთშორის მორიდნენ შემდეგზე:
1.2. ცაგერის მუნიციპალიტეტის მერია თანახმა ცაგერის ა(ა)იპ დეხვირის არქეოლოგიურ-ეთნოგრაფიული მუზეუმის ,,ღია ცის ქვეშ" დირექტორს გიორგი გასვიანს ცაგერის მუნიციპალიტეტის მერიამ გადაუხადოს შრომის ანაზღაურების სახით დაბეგრილი 23222,85 ლარი.

1.3. ცაგერის ა(ა)იპ-დეხვირის არქეოლოგიურ-ეთნოგრაფიული მუზეუმის ,,ღია ცის ქვეშ" დირექტორს გიორგი გასვიანი თანახმაა ცაგერის მუნიციპალიტეტის მერიამ გადაუხადოს შრომის ანაზღაურების სახით დაბეგრილი 23222,85.

1.4.მხარეები თანხმდებიან, რომ ანაზღაურება მოხდება მხარეთა მორიგების დამტკიცების შესახებ სასამართლოს კანონიერ ძალაში შესვლისთანავე.

2. შეწყდეს სამოქალაქო საქმის №2/132-22 წარმოება გიორგი გასვიანის სარჩელის გამო მოპასუხე ცაგერის მუნიციპალიტეტის მერიის მიმართ, შესრულებული სამუშაოს ანაზღაურების თაობაზე;

3. განემარტოთ მხარეებს, რომ საქმის წარმოების შეწყვეტის შემთხვევაში სასამართლოსათვის ხელმეორედ მიმართვა დავაზე იმავე მხარეებს შორის, იმავე საგანზე და იგივე საფუძვლით არ შეიძლება;

4. მოსარჩელე გიორგი გასვიანი სახელმწიფო ბაჟის გადახდისაგან განთავისუფლებულია.

5. განჩინებაზე შეიძლება კერძო საჩივრის შეტანა ამბროლაური რაიონულ სასამართლოში (ქ.ამბროლაური, მ.კოსტავას ქ.N13) 12 (თორმეტი) დღის განმავლობაში მხარეთათვის განჩინების გადაცემიდან, რის შემდეგაც კერძო საჩივარი საქმესთან ერთად გადაეგზავნება ზემდგომ სასამართლოს - ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატას (ქ.ქუთაისი, ნიუპორტის ქ.N32).

მოსამართლე: ხელმოწერილია როინ კახიძე
ასლი დედანთან სწორია

მ/თანაშემწე: იამზე მურუსიძე